სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

83294817417423

# საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

## იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N230995008**

რეგისტრაციის თარიღი

**24.07.2023 წ**

ნოტარიუსი: ნანა ბაკურაძე
მისამართი: ქ.თბილისი კოსტავას ქ.N76
ტელეფონი: 2 33 18 67

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

# სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდასამი წლის ოცდაოთხ ივლისს, მე, ნოტარიუს ნანა ბაკურაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა #76-ში, მომმართა შპს „სანის“ (ს/კ 406033983) დირექტორმა ლევან კვინიკაძემ. მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ლევან კვინიკაძემ (დაბ.25.06.1981წ., ზესტაფონში, რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, ოთარ ჭილაძის ქუჩა, N 166, კორპუსი 3, ბინა 13-14, პირადი #18001006714, ბარათის #20IC19738, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 17.12.2021წ.) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობასა და უფლებამოსილებაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში. შემდეგ ლევან კვინიკაძემ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

## მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, შპს „სანის“ (ს/კ 406033983) დირექტორი ლევან კვინიკაძე (დაბ.25.06.1981წ., ზესტაფონში, რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, ოთარ ჭილაძის ქუჩა, N 166, კორპუსი 3, ბინა 13-14, პირადი #18001006714, ბარათის #20IC19738, გაც. იუსტიციის სამინისტროს მიერ 17.12.2021წ.) შემდგომში მოხსენიებული როგორც - მიმნდობი) ვენდობი შპს „ლენდ მარკ პროჯექტი“ -ს (ს/კ: 405221843) დირექტორს - ხათუნა კიკვაძეს (პ/ნ: 01017008247) და შპს „ლენდ მარკ პროჯექტი“ -ს 100%-იან წილის მესაკუთრეს ავთანდილ მახარობლიშვილს (პ/ნ: 01008018073) (შემდგომში: ხათუნა კიკვაძე, ავთანდილ მახარობლიშვილი მოხსენიებულია როგორც - მინდობილი პირი) ერთბლივად ან ცალ-ცალკე, ერთანეთისგან დამოუკიდებლად წარმოადგინონ შპს „სანი“ (ს/კ 406033983) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების სამსახურთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში ქ. თბილისში, კოსტავას ქ. 43 (1642 კვ.მ, საკადასტრო კოდი 01.15.03.010.073) არსებული მიწის ნაკვეთ(ებ)ის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების, განაშენიანების რეგულირების გეგმის, არქიტექტურული პროექტის დამტკიცებისა და მშენებლობის ნებართვის მოპოვების მიზნით.

მინდობილი პირები, ასევე, უფლებამოსილნი არიან მიმნდობის სახელით, წარადგინონ და ატვირთონ ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია, ხელი მოაწერონ ყველა აუცილებელ განცხადებას და სხვა ოფიციალურ საბუთებს, მიიღონ მონაწილეობა განაშენიანების რეგულირების გეგმის (ორივე სტადია), არქიტექტურული პროექტის, მშენებლობის ნებართვის გაცემისთვის გამართულ ზეპირი ადმინისტრაციული წარმოების განხილვში, შეასრულონ ყველა ქმედება რაც უკავშირდება ზემოაღნიშნულ დავალებას. მინდობილი პირები ასევე უფლებამოსილნი არიან ხელზე მიიღონ/გაეცნონ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი, მშენებლობის ნებართვა და ყველა სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გამოიცემა წინამდებარე დავალებაში მითითებული დავალების შესრულების საფუძველზე.

მინდობილი პირები, უფლებამოსილნი არიან, აღნიშნული დავალების შესრულებაში ჩართონ: კომპანიის ქვეკონტრაქტორები და მასთან შრომითი ხელშეკრულებით დაკავშირებული პირები.

ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში დამკვეთად უნდა დაფიქსირდეს - მიმნდობი, როგორც სამშენებლო მიწის ნაკვეთის განვითარების ინტერესის მქონე პირი.

მინდობილობა გაცემულია 2 (ორი) წლის ვადით და ძალაშია 2025 წლის 24 ივლისის ჩათვლით.

*გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური 30 ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება #507-ის 31-ე მუხლისა), აგრეთვე დ.ღ.გ. 5 ლარი და 40 თეთრი (თანხმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 5 ლარი (თანახმად "საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება #507-ის 39-ე მუხლისა) - სულ გადახდილია 40 ლარი და 40 თეთრი.*

შპს „სანის“ (ს/კ 406033983) დირექტორი
ლევან კვინიკაძე _____

ნოტარიუსი _____ ნანა ბაკურაძე